

სახელმძღვანელო მითითებები ახალ მონეტარულ ზღვრებთან და ტენდერის/კონკურსის მიმდინარეობის ხანგრძლივობებთან დაკავშირებით

2017 წლის 19 ივლისიდან სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელ კანონმდებლოში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. გარკვეული ცვლილებები შეეხო როგორც სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის ზოგად პრინციპებსა და წესებს, ასევე შესყიდვის განხორციელების ეტაპზე მოქმედ რეგულაციებს.

ცვლილებები ემსახურება, ერთის მხრივ, სახელმწიფო შესყიდვების სფეროში საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების საფუძველზე პირველი ფაზით¹ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, ხოლო მეორეს მხრივ, შესყიდვებთან დაკავშირებული, საუკეთესოდ აღიარებული პრაქტიკის კანონმდებლობაში დანერგვას.

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია, გააცნოს მკითხველს ის ცვლილებები, რომლებიც უკავშირდება ელექტრონული შესყიდვის საშუალებების ახალ სახელწოდებებს, მონეტარულ ზღვრებსა და მონეტარული ზღვრებიდან გამომდინარე ელექტრონული ტენდერის მიმდინარეობის ვადების შერჩევის წესებს (მინიმალური ვადები სატენდერო წინადადების გაცნობისა და წინადადების წარდგენისათვის).

2017 წლის 19 ივლისიდან მოქმედი წესების მიხედვით, შემოვიდა ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვის მცნება, რომელიც შესაძლებელია განხორციელდეს ელექტრონული ტენდერის, კონკურსის და კონსოლიდირებული ტენდერის

¹ სახელმწიფო შესყიდვების სფეროში საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების პირველი ფაზა იწურება 2017 წლის 1 სექტემბერს.

საშუალებით. ამასთან, ელექტრონული ტენდერი განისაზღვრა როგორც 5000 ლარის ან მეტი ღირებულების შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების სახელმწიფო შესყიდვის საშუალება, რომელიც მოიცავს ელექტრონული ტენდერისათვის კანონითა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით² დადგენილ პროცედურებს, ხოლო კონკურსი როგორც სახელმწიფო შესყიდვის ალტერნატიული საშუალება, რომელიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით საპროექტო მომსახურების შესყიდვისას³.

შესაბამისად, შემსყიდველ ორგანიზაციას, კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში, შეუძლია ისარგებლოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში ინტეგრირებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების განსხვავებული და კონკურსის მოდულით:

ცხრილი 1: ერთიან ელექტრონულ სისტემაში ინტეგრირებული, შემსყიდველი ორგანიზაციებისთვის ხელმისაწვდომი ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვის საშუალებები

ტენდერის აბრევიატურა	მოკლე აღწერა
SPA	ელექტრონული ტენდერი ელექტრონული ვაჭრობის სამი დამატებითი რაუნდით.
NAT	ტენდერი ელექტრონული ვაჭრობის დაფარული მონაცემებით, დამატებითი რაუნდების გარეშე.
DAP	სამუშაოს შესყიდვის მიზნით ელექტრონული ტენდერის ჩატარების ალტერნატიული მეთოდი, რომელშიც ხორციელდება პრეტენდენტების ერთდროულად შეფასება
MEP	ელექტრონული ტენდერი, რომელშიც სატენდერო წინადადებების რანჟირება ხორციელდება ფასის, სხვა თვლადი კრიტერიუმების და შესაბამისი ხვედრითი წონების გათვალისწინებით.

² გთხოვთ, იხილოთ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი.

³ იხილოთ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 22 მაისის №7 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესი და პირობები.



CON	სახელმწიფო შესყიდვის ალტერნატიული ელექტრონული საშუალება, რომელიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას საპროექტო მომსახურების შესყიდვისას.
-----	---

სიახლეს წარმოადგენს ის, რომ როგორც ელექტრონული ტენდერის განსხვავებულ ტიპებზე, ასევე კონკურსზე გავრცელდა ტენდერის მიმდინარეობების ერთიანი მინიმალური ვადები სატენდერო/საკონკურსო დოკუმენტაციის გაცნობისა და სატენდერო/საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ ელექტრონული შესყიდვის საშუალების მიმდინარეობის მინიმალური ვადები განსხვავდება შესყიდვის ობიექტების მიხედვით. მე-2 ცხრილი აღწერს 2017 წლის 19 ივლისიდან მოქმედ მონეტარულ ზღვრებს და ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვის საშუალებების მიმდინარეობების მინიმალურ ვადებს შესყიდვის ობიექტების შესაბამისად⁴:

ცხრილი 2: 2017 წლის 19 ივლისიდან მოქმედი მონეტარული ზღვრები და მინიმალური ვადები შესყიდვის ობიექტის სახეობების მიხედვით

შესყიდვის საშუალება	შესყიდვის ობიექტი	მონეტარული ზღვარი	გაცნობის და წინადადების წარდგენის ვადა
ელექტრონული ტენდერი/კონკურსი	საქონელი და მომსახურება	5.000-დან 150.000 ლარამდე	7 (5+2) კალენდარული დღე
		150.000 ლარი და მეტი	10 (7+3) კალენდარული დღე
	სამუშაო	5.000-დან 300.000 ლარამდე	10 (7+3) კალენდარული დღე
		300.000 ლარი და მეტი	20 (15+5) კალენდარული დღე

⁴ გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ შესყიდვის ობიექტების იდენტიფიკაციას, კლასიფიკაციასა და შესყიდვის ობიექტების ერთგვაროვნების დადგენას არეგულირებს 2010 წლის 20 სექტემბრის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება №7 შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ.

სიახლეს წარმოადგენს ასევე ის, რომ სატენდერო/საკონკურსო პირობებში ცვლილების შეტანის შემთხვევაში, სატენდერო/საკონკურსო პირობების გაცნობის ვადა გრძელდება გამოცხადებიდან/წინა ცვლილებიდან შესაბამისი ცვლილების განხორციელებამდე გასული ვადით. მაგალითად, თუ ელექტრონული ტენდერის გამოცხადებიდან მე-5 დღეს შემსყიდველი ორგანიზაცია შეიტანს ცვლილებას სატენდერო დოკუმენტაციაში, ტენდერის მიმდინარეობის ხანგრძლივობა ავტომატურად გაიზრდება ხუთი დღით.

გთხოვთ გაითვალისწინოთ:

- 2017 წლის 19 ივლისიდან შესყიდვის ელექტრონულ საშუალებებზე - ელექტრონული ტენდერის განსხვავებულ ტიპებსა და კონკურსზე გავრცელდა ერთიანი, სტანდარტული მინდინარეობის ხანგრძლივობები - ელექტრონული შესყიდვის მიმდინარეობის მინიმალური ვადები განისაზღვრება შესყიდვის ობიექტისა და შესაბამისი მონეტარული ზღვრის შესაბამისად, მიუხედავად იმისა, თუ რომელი შესყიდვის საშუალება იქნა შერჩეული შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ;
- ისევე, როგორც აქამდე მოქმედი წესების შემთხვევაში, კანონმდებლობით დადგენილი ვადები წარმოადგენს მინიმალურ ვადებს. შესაბამისად, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ მინიმალური ვადა არ არის საკმარისი სატენდერო დოკუმენტაციის გაცნობისა და სატენდერო წინადადების შემუშავებისათვის, მას შეუძლია განსაზღვროს ელექტრონული შესყიდვის საშუალების მიმდინარეობის დადგენილზე უფრო ვრცელი ხანგრძლივობები;
- გამომდინარე იქედან რომ სატენდერო პირობებში ცვლილების შეტანა ახანგრძლივებს სატენდერო პირობების გაცნობის ვადას ელექტრონული ტენდერის გამოცხადებიდან/წინა ცვლილებიდან შესაბამისი ცვლილების



განხორციელებამდე გასული ვადით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო მოგიწოდებთ კიდევ უფრო მეტი ყურადღებით მოეკიდოთ სატენდერო დოკუმენტაციების შედგენასა და გადამოწმებას შესაბამისი შესყიდვის გამოცხადებამდე.